



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებს კანონმდებლობით

მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

2017 წლის 17 ნოემბერს საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელთა მიხედვით, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8711 კოდში აღნიშნულ მოტოციკლზე (მოპედის ჩათვლით) გავრცელდა ავტომობილზე არსებული საგადასახადო შეღავათები, მათ შორის:

- დღგ-საგან გათავისუფლება - კოდექსის 168-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი;
- ჩათვლის უფლების გარეშე აქციზისაგან გათავისუფლება - კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი.



„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი

2017 წლის 13 ნოემბერს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები, მათ შორის:

- შეიცვალა კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.თ.“ ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (შემდგომ – სდპ) – იურიდიული პირი, რომელიც არის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე სამსახურის მიერ სდპ-ად განსაზღვრული პირი (გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა);
- შეიცვალა მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, სამსახური* უზრუნველყოფს: ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის წესების განსაზღვრას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში ერთიანი პოლიტიკის და სხვა სამართლებრივი აქტების შემუშავებას, სუბიექტისათვის სდპ-ის სტატუსის მინიჭებას, სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესისა და პროცედურების მიმართ დამატებითი მოთხოვნებისა და წესების განსაზღვრას, მათ შორის, შესაბამის მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოსთან ერთად.

ცვლილების თანახმად, საქართველოს მთავრობამ არაუგვიანეს 2018 წლის 1 იანვრისა უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმების დამტკიცება.

*შენიშვნა: სამსახური - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება (წინამდებარე კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი).



2017 წლის 14 ნოემბრის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-22

2017 წლის 16 ნოემბერს ძალაში შევიდა 2017 წლის 14 ნოემბრის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-22, რომლის თანახმად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 სექტემბრის №ნ-15 ბრძანებაში შევიდა ცვლილებები, მათ შორის:

- შეიცვალა ბრძანების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, თუ აუდიტი ჩატარდა გარიგების პარტნიორის მიერ, აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრის ბაზაში არსებული მონაცემების საფუძველზე, ავტომატურად დაისახება იმ აუდიტორული ფირმის/ფირმების დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელშიც დასაქმებულია გარიგების პარტნიორი. თუ ასეთი აუდიტორული ფირმების რაოდენობა ერთზე მეტია, სუბიექტი მიუთითებს იმ აუდიტორულ ფირმას, რომლის სახელითაც მოქმედებდა გარიგების პარტნიორი აუდიტის ჩატარებისას.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება საქართველოსა და ჩინეთს შორის

შეთანხმებას ჩინეთთან ხელი მოეწერა 2017 წლის მაისში, პეკინში და საქართველოში ძალაში შევა 2018 წლის 1 იანვარს.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ვრცელდება მთელ ქართულ პროდუქციაზე, გარდა შემდეგი ნაწარმისა: მარცვლეული, ბრინჯი, ფქვილი (მათ შორის, კარტოფილის ფქვილი), შალი, თამბაქო, ხის ცალკეული ნაკეთობები, ქაღალდი, შპალერი, კონვერტები, მუყაოსა და ქაღალდის სხვა ნაკეთობები, წიგნები და რვეულები.

რაც შეეხება ჩინურ პროდუქციას, თავისუფალი ვაჭრობა არ გავრცელდება საქონლის ხორცის რიგ სახეობებზე, ცხვრის ხორცზე (სრულად), კარტოფილზე, არტიშოკზე, ზეთისხილზე, ცუკინიზე, ინდურ სიმინდზე, ნუშზე, თხილზე, წაბლზე, კივზე, ხურმაზე, გარგარზე, ციტრუსებზე, ჟოლოზე, შაქარზე, ალკოჰოლურ სასმელებზე, თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე.

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2012 წლის 20 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით გათვალისწინებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე (საქმე Nას-1156-1176-2011).

პალატის განმარტებით, კერძო სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს მორალურ, სულიერ ტანჯვას, მაგრამ მისი ანაზღაურება დაიშვება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.

პალატის განმარტებით, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო და არა - ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევაში.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე
საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე
იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 244 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](https://www.facebook.com/deloitte), [LinkedIn](https://www.linkedin.com/company/deloitte), [Twitter](https://twitter.com/deloitte).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიართო კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა

თბილისი, 0105 საქართველო

@ 2017 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.